ოქმი #4

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 6 ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), ნ. ბერიკაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ა. ხარაზიშვილი, ს. ხარიბეგაშვილი, (სამეცნიერო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 10 წევრი);

ინსტიტუტის დირექტორის მ.შ.: ნინო ფარცვანია.

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა განცხადებების განხილვა;
2. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კანდიდატობის მსურველთა განცხადებების განხილვა;
3. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კენჭისყრის დღის დანიშვნა;
4. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ასარჩევად კენჭისყრის დღის დანიშვნა.

არჩეულ იქნა სხდომის მდივანი: მ. მანია.

მოისმინეს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოსულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ფარცვანიას განცხადება. განცხადებას თან ერთვის შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

დაადგინეს: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ფარცვანიას კანდიდატურა დარეგისტრირდეს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში.

მოისმინეს: თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოსულია შემდეგ პირთა განცხადებები:

1) ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ხვედრი ინასარიძე;

2) მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მამუკა ჯიბლაძე;

3) გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - თორნიკე ქადეიშვილი;

4) მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ვახტანგ კოკილაშვილი;

5) დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ივანე კიღურაძე;

6) მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - როლანდ დუდუჩავა;

7) დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ნუგზარ შავლაყაძე;

8) თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მერაბ ელიაშვილი;

9) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მიხეილ მანია.

თითოეულ განცხადებას თან ერთვის შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დარეგისტრირდნენ ზემოთ ჩამოთვლილი კანდიდატურები თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევ კონკურსში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: თ. ქადეიშვილის გამოსვლა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კენჭისყრის დღის დანიშვნასთან დაკავშირებით.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე **2017 წლის 10 ოქტომბერს, 15 საათზე.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: თ. ქადეიშვილის გამოსვლა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ასარჩევად კენჭისყრის დღის დანიშვნასთან დაკავშირებით.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე **2017 წლის 11 ოქტომბერს, 15 საათზე.**

სხდომის თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სხდომის მდივანი მ. მანია